საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კერპი

კერპი (ბერძნ. εἴδωλον), მატერიალური საგანი, რელიგიური თაყვანისცემის ობიექტი. კ. აღმოცენდა უძველეს დროში, ცვლიდა ღვთაებას, განასახიერებდა მას ან მის ძალას. უძველეს რელიგიებში არსებობდა როგორც ზოომორფული, ისე ანთროპომორფული კ. მაღალგანვითარებული რელიგიებისათვის ანთროპომორფული კ-ები იყო დამახასიათებელი.

ანთროპომორფული კ. საქართვ. ტერიტორიაზე ჩნდება ენეოლითის ხანიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა ქალის ქანდაკებები, რ-ებიც ნაყოფიერების ქალურ საწყისს განასახიერებენ. მოგვიანებით, ბრინჯაოსა და რკინის ხანაში, მრავლად გვხვდება მამრობითი ღვთაებების გამოსახულებებიც.

აღმ. საქართველოში დაახლ. ძვ. წ. IV–III სს. შეიქმნა ღვთაებათა პანთეონი. ფარნავაზის დროს მცხეთაში მდგარ კ-ებს, გაცსა და გაიმს, შეემატა ახ. ღვთაების, არმაზის კ. მომდევნო მეფეებს კიდევ რამდენიმე კ. აღუმართავთ. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეკლესიამ ძვ. კ-ები გაანადგურა.

გადატანითი მნიშვნელობით კ. თაყვანისცემის ობიექტს აღნიშნავს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2002.

ი. სურგულაძე